

დამკვეთი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

გაგრა პლუსი

ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აუდიტორი

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

205279660

ვიქტორ დოლიძის ქ. #2.

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
მოსაზრება.....	3
პირობითი მოსაზრების საფუძველი	3
სხვა ინფორმაცია	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში.....	4
დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9
ძირითადი საქმიანობა	9
მომზადების საფუძვლები	9
მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი	9
უცხოური ვალუტის ოპერაციები.....	10
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები.....	10
ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები	10
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	12
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	12
დამატებითი ღირებულების გადასახადი.....	12
მოგების გადასახადი	12
ძირითადი საშუალებები.....	13
არამატერიალური აქტივები	13
გადახდილი ავანსები	13
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	14
სესხები	14
საინვესტიციო ქონება.....	14
კომპანია როგორც მოიჯარე.....	14
ღივიდენდები	15
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში.....	15
შემოსავალი რეალიზაციიდან.....	15
თვითღირებულების ხარჯები.....	15
მიწოდების ხარჯები	15
პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები	16
ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში	16
რისკის მართვა.....	26
ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	29
პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	30
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	30
ბალანსის შემდგომი მოვლენები.....	31
მმართველობის ანგარიშგება	32

მოსაზრება

ჩვენ ჩაატარეთ შპს „გაგრა პლუსი“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობისა და კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების აბზაცში წარდგენილი ინფორმაციის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ კომპანიის აუდიტორებად დაკავშირებით 2024 წლის 30 სექტემბერს და ამდენად, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების, ძირითადი საშუალებების და ნაღდი ფულის ფიზიკურ გადათვლას არ დავსწრებივართ. ჩვენ ვერ შევძელით 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით ფლობილი მარაგების, ძირითადი საშუალებების და ნაღდი ფულის რაოდენობაში ალტერნატიული საშუალებებით დარწმუნება. ვინაიდან მარაგების, ძირითადი საშუალებების და ნაღდი ფულის ნაშთი ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსასაზღვრად მნიშვნელოვანი მონაცემია, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში“ ქვეთავში. ჩვენ ვმოქმედებდით კომპანიისაგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსი“ და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც ეთიკის კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკონსულტაა წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას, და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა,

ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოთაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსაზღვრებლად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოწვეულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი მენიშვნები აღევატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი მენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამეა კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

გელა ჩადუნელი (# SARAS-A-317228)

27 თებერვალი, 2025

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი აუდიტი ჩაატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. აუდიტის ჩატარების დროს ჩვენს მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს, გარდა ამისა ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალდებუებს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის მენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი მენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი მენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად (შემდგომში ტექსტში - კანონი). კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის ამ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შესაბამეა კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი (# SARAS-F-340628)

ბელა ჩალუნელი (# SARAS-A-317228)

27 თებერვალი, 2025

თბილისი, საქართველო

[Handwritten signature]



შპს გაგრა პლუსი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	86,905,207	74,671,579
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(56,797,849)	(51,852,899)
მთლიანი მოგება		30,107,358	22,818,680
მიწოდების და მომსახურების ხარჯი	6	(18,607,549)	(11,877,001)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(4,211,555)	(3,418,247)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		133,268	211,778
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(242,736)	(425,261)
საოპერაციო მოგება		7,178,787	7,309,950
ფინანსური შემოსავალი		77,130	19,393
ფინანსური ხარჯი	9	(578,785)	(788,587)
მოგება დაბეგვრამდე		6,677,132	6,540,757
მოგების გადასახადი		(580,684)	(508,613)
წმინდა მოგება		6,096,449	6,032,144
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		6,096,449	6,032,144

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - გიორგი მახათაძე

ფინანსური დირექტორი - გიორგი ჩაკვეტაძე

შპს გაგრა პლუსი
 სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	86,905,207	74,671,579
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	5	(56,797,849)	(51,852,899)
მთლიანი მოგება		30,107,358	22,818,680
მიწოდების და მომსახურების ხარჯი	6	(18,607,549)	(11,877,001)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	7	(4,211,555)	(3,418,247)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		133,268	211,778
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(242,736)	(425,261)
საოპერაციო მოგება		7,178,787	7,309,950
ფინანსური შემოსავალი		77,130	19,393
ფინანსური ხარჯი	9	(578,785)	(788,587)
მოგება დაბეგვრამდე		6,677,132	6,540,757
მოგების გადასახადი		(580,684)	(508,613)
წმინდა მოგება		6,096,449	6,032,144
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		6,096,449	6,032,144

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

 დირექტორი - გიორგი მახათაძე



 ფინანსური დირექტორი - გიორგი ჩაკვეტაძე

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	10	6,705,654	6,277,195
საინვესტიციო ქონება	11	739,150	-
არამატერიალური აქტივები		24,492	17,066
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	12	405,610	455,610
აქტივის გამოყენების უფლება	13	77,510	208,240
სულ გრძელვადიან აქტივები		7,952,416	6,958,111
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14	10,091,030	8,202,402
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	15	225,585	279,851
გადახდილი გადასახადები		828,184	617,457
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	21,922,091	18,698,519
ფული და ფულის ექვივალენტები	17	959,817	757,553
სულ მიმდინარე აქტივები		34,026,708	28,555,782
სულ აქტივები		41,979,124	35,513,894
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		26,065,705	23,259,797
სულ კაპიტალი		26,067,705	23,261,797
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ფინანსური იჯარა	13	38,202	148,641
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		38,202	148,641
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	15,814,728	11,031,708
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	13	58,489	97,002
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	19	-	974,746
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15,873,217	12,103,457
სულ ვალდებულებები		15,911,419	12,252,097
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		41,979,124	35,513,894

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - გიორგი მახათაძე

ფინანსური დირექტორი - გიორგი ჩაკვატაძე

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	12/31/2023	12/31/2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	10	6,705,654	6,277,195
საინვესტიციო ქონება	11	739,150	-
არამატერიალური აქტივები		24,492	17,066
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	12	405,610	455,610
აქტივის გამოყენების უფლება	13	77,510	208,240
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,952,416	6,958,111
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14	10,091,030	8,202,402
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	15	225,585	279,851
გადახდილი გადასახადები		828,184	617,457
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	21,922,091	18,698,519
ფული და ფულის ექვივალენტები	17	959,817	757,553
სულ მიმდინარე აქტივები		34,026,708	28,555,782
სულ აქტივები		41,979,124	35,513,894
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		26,065,705	23,259,797
სულ კაპიტალი		26,067,705	23,261,797
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი ფინანსური იჯარა	13	38,202	148,641
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		38,202	148,641
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	15,814,728	11,031,708
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	13	58,489	97,002
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	19	-	974,746
სულ მიმდინარე ვალდებულებები		15,873,217	12,103,457
სულ ვალდებულებები		15,911,419	12,252,097
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		41,979,124	35,513,894

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - გიორგი მასათაძე




ფინანსური დირექტორი - გიორგი ჩაკვეტაძე



შპს გაგრა პლუსი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	26,065,705	26,067,705
პერიოდის წმინდა მოგება	-	6,096,449	6,096,449
განაწილებული დივიდენდი	-	(3,290,540)	(3,290,540)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	23,259,797	23,261,797
პერიოდის წმინდა მოგება	-	6,032,144	6,032,144
განაწილებული დივიდენდი	-	(2,882,139)	(2,882,139)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	20,109,792	20,111,792

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - გიორგი მახათაძე

ფინანსური დირექტორი - გიორგი ჩაკვატაძე

შპს გაგრა პლუსი
 კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	26,065,705	26,067,705
პერიოდის წმინდა მოგება	-	6,096,449	6,096,449
განაწილებული დივიდენდი	-	(3,290,540)	(3,290,540)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	23,259,797	23,261,797
პერიოდის წმინდა მოგება	-	6,032,144	6,032,144
განაწილებული დივიდენდი	-	(2,882,139)	(2,882,139)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	20,109,792	20,111,792

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:


 დირექტორი - გიორგი მახათაძე




 ფინანსური დირექტორი - გიორგი მაჩკველაძე

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	6,677,132	6,540,757
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,011,835	811,303
არამატერიალური აქტივების ცვეთა	5,385	3,809
საინვესტიციო ქონების ცვეთა	31,540	-
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა	59,231	89,945
იჯარის ჩამოწრით მიღებული შედეგი	(14,888)	-
იჯარის საპროცენტო ხარჯი	18,445	37,739
საპროცენტო შემოსავალი	(77,130)	(19,393)
საპროცენტო ხარჯი	160,234	110,174
სავაჭრო მოთხოვნის რეზერვის ცვლილება	237,529	87,852
უიმედო გადახდილი ავანსების ჩამოწრა	793,097	-
გაცემული სესხის გაუფასურება	78,170	29,306
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	253,551	611,367
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	9,234,131	8,302,859
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(4,243,042)	(3,812,450)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,888,628)	(2,584,803)
ცვლილებები საგადასახადო აქტივში	(210,727)	(12,678)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	4,610,229	1,415,453
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7,501,963	3,308,381
გადახდილი მოგების გადასახადი	(580,684)	(508,613)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,921,280	2,799,768
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(2,230,559)	(1,207,784)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	19,576	46,178
არამატერიალური აქტივები	(12,812)	(2,720)
ცვლილებები ინვესტიციებში	50,000	(142,610)
სესხის გაცემა	-	(314,746)
გაცემული სესხის მიღება	16,096	16,000
მიღებული პროცენტი	37,130	8,982
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,120,568)	(1,596,700)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების აღება	1,942,379	4,195,721
სასესხო ვალდებულებების გადახდა	(2,929,046)	(3,209,275)
გადახდილი პროცენტი	(160,234)	(110,174)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(62,565)	(85,201)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა	(18,445)	(37,739)
განაწილებული დივიდენდი	(3,290,540)	(2,882,139)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,518,451)	(2,128,807)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(79,997)	(103,481)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	202,264	(1,029,220)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	757,553	1,786,773
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	959,817	757,553

* 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალი შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი - გიორგი მახათაძე

ფინანსური დირექტორი - გიორგი ჩაკვეტაძე

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2023	2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	6,677,132	6,540,757
კორექტირება:		
ძირითადი საშუალებების ცვეთა	1,011,835	811,303
არამატერიალური აქტივების ცვეთა	5,385	3,809
საინვესტიციო ქონების ცვეთა	31,540	-
აქტივი გამოყენების უფლებით ცვეთა	59,231	89,945
იჯარის ჩამოწერით მიღებული შედეგი	(14,888)	-
იჯარის საპროცენტო ხარჯი	18,445	37,739
საპროცენტო შემოსავალი	(77,130)	(19,393)
საპროცენტო ხარჯი	160,234	110,174
სავაჭრო მოთხოვნის რეზერვის ცვლილება	237,529	87,852
უიმედო გადახდილი ავანსების ჩამოწერა	793,097	-
გაცემული სესხის გაუფასურება	78,170	29,306
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	253,551	611,367
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	9,234,131	8,302,859
ცვლილებები სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	(4,243,042)	(3,812,450)
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,888,628)	(2,584,803)
ცვლილებები საგადასახადო აქტივში	(210,727)	(12,678)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში	4,610,229	1,415,453
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7,501,963	3,308,381
გადახდილი მოგების გადასახადი	(580,684)	(508,613)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	6,921,280	2,799,768
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(2,230,559)	(1,207,784)
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	19,576	46,178
არამატერიალური აქტივები	(12,812)	(2,720)
ცვლილებები ინვესტიციებში	50,000	(142,610)
სესხის გაცემა	-	(314,746)
გაცემული სესხის მიღება	16,096	16,000
მიღებული პროცენტი	37,130	8,982
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,120,568)	(1,596,700)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების აღება	1,942,379	4,195,721
სასესხო ვალდებულებების გადახდა	(2,929,046)	(3,209,275)
გადახდილი პროცენტი	(160,234)	(110,174)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(62,565)	(85,201)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა	(18,445)	(37,739)
განაწილებული დივიდენდი	(3,290,540)	(2,882,139)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(4,518,451)	(2,128,807)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	(79,997)	(103,481)
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	202,264	(1,029,220)
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	757,553	1,786,773
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	959,817	757,553

* 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 27 თებერვალის მდგომარეობით პირების მიერ:

დირექტორი - გიორგი მაჭათაძე



ფინანსური დირექტორი - გიორგი ჩაკვატაძე

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს გაგრა პლუსი (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 24/05/2002 წელს მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ფეიქრების ქუჩა N12. კომპანიის დამფუძნებლებია : ბესიკ ჩიხრაძე (პ/ნ 250723971) – 33% მამუკა მახათაძე (პ/ნ 62007000479) – 33% და გიორგი მახათაძე (პ/ნ 62007001211) – 34%.

2023 წლის პირველ მარტს განხორციელდა კომპანიის დამფუძნებლის ცვლილება, კერძოდ: ქეთევან მახათაძესგან (პ/ნ 62007000373) წილი გადაეცა მამუკა მახათაძეს (პ/ნ 62007000479)

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების იმპორტი და დისტრიბუცია. კომპანია დისტრიბუციას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე.

კომპანიის დირექტორია ბ/ნ გიორგი მახათაძე.

მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა ახალი და შეცვლილი სტანდარტების გამოყენებისა, რომლებიც მე-3 შენიშვნაშია განხილული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ოპერაციებს აღრიცხავს და ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს), როგორც მოეთხოვება ქართული კანონმდებლობით.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ამ საკითხის განსჯისას ხელმძღვანელობამ განიხილა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. ხელმძღვანელობამ მიმოიხილა როგორ ბაზრის და ბიზნესის რისკი. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიას არ აქვს მოლოდინი ისეთი მნიშვნელოვანი რისკების, რომელმაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებადობაზე,

შპს გაგრა პლუსი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი/1 ევრო	2.9753	2.8844

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი პირობები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით (გარიგების პირდაპირი დანახარჯების გამოკლებით, თუ ამგვარს ადგილი აქვს) და შემდგომში წარდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციით, საწყისი აღიარებისას, დგინდება მათი შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით. საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის კონტრაქტის მიხედვით მისაღები ფულადი ნაკადების მახასიათებლებსა და მათი მართვის ბიზნეს-მოდელზე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილდა შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსურ აქტივს კომპანია ფლობს ისეთი ბიზნეს-მოდელით, რომლის ამოცანა არის ფინანსური აქტივების ფლობა მათგან ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დასაფარ ნაწილზე გადასახდელ საპროცენტო გადახდებს (SPPI)“. ამ შეფასებას SPPI ტესტი ეწოდება და ის ინსტრუმენტის დონეზე ხორციელდება.

შემდგომი შეფასება. შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის

ფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწერა ან (ბ) კომპანიამ გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (i) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (ii) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების გარეშე არა დაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების გაუქმება

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა ვალდებულება დაიფარება ან გაუქმდება ან ვადა გასდის. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ანაცვლებს იმავე გამსესხებლის სხვა ფინანსური ვალდებულება არსებითად შეცვლილი პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები დიდ წილად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან მოდიფიცირება განიხილება როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა საბალანსო ღირებულებებს შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება და საქონელის მიწოდება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის შესაბამის დარეზერვებას. გასულ საანგარიშო პერიოდთან შედარებით მიმდინარე წელს გაზრდილია რეზერვების მოცულობა, რომლის მიზეზიც გახდა საქონელის მიწოდების მოცულობის ზრდა.

საანგარიშო წლის ბოლოს მოთხოვნები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით და მოიცავს ვაჭრობიდან წარმოქმნილ მოთხოვნებს შემცირებულს შესაბამისი რეზერვებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნაღებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

მარაგები მოიცავს ალკოჰოლურ და უალკოჰოლო სასმელებს, რომელიც არ არის მალფუჭებადი პროდუქცია, შესაბამისად მათი არა ბრუნვალობა არ ქმნის მნიშვნელოვან უზუსტობებს. საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებულია არა ბრუნვადი მარაგების ნაშთები მაგრამ ისინი არ არის ვადაგასული ან დაზიანებული. მათი სარეალიზაციო ფასი არ არის თვითღირებულებაზე ნაკლები. ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მარაგების ანარიცხები ვინაიდან მათი გაუფასურების ინდიკატორები არ არსებობს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მარაგები წარმოდგენილია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე ან მათგან საკომპენსაციო თანხის წინასწარ მიღების შემთხვევაში, რა დროსაც აღნიშნული თანხა იდენტიფიცირებულია როგორც მიღებული ავანსები. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგების გადასახადი (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან საქონლისა და მომსახურების უფასოდ მიწოდებას. ამგვარი ტრანზაქციების დაბეგვრა ბასს 12 “მოგების გადასახადებით” არ რეგულირდება და 2017 წლის 1 იანვრიდან, ბასს 37-ის მოთხოვნების შესაბამისად, აღირიცხება ისევე, როგორც გადასახადები მოგების გადასახადის გარდა ტრანზაქციის განხორციელების მომენტში

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე რიცხვული სხვა ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნაღებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს მისაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის რეალური ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგება-ზარალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის სამომხმარებლო ღირებულების ან რეალური ღირებულების (რეალიზაციის ხარჯის გამოკლებით) გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

პერიოდის ცვთის ხარჯი

მიწას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება ნაშთის შემცირებადი მეთოდის გამოყენებით, ქვემოთ მოცემული საექსპლუატაციო პერიოდის შესაბამისად:

• შენობა-ნაგებობები	4%
• მანქანა-დანადგარები	10-20%
• სატრანსპორტო საშუალებები	20%
• კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	20%-25%
• ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა	20%
• სხვა	20%

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და

ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციის და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით. გადახდილი ავანსი არა მიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არა მიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

სხვა ვალდებულებები მოიცავს საქონლის და მომსახურების მისაწოდებლად წინასწარ მიღებულ საკომპენსაციო თანხებს, რომელზეც მიწოდება განხორციელდა საანგარიშო პერიოდის შემდგომ.

სესხები

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარიგების ხარჯების გამოკლებით. შემდგომში აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით; ნებისმიერი განსხვავება მიღებულ სესხსა (გარიგების ხარჯების გამოკლებით) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პერიოდში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები ან მიწის ნაკვეთები, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გასაზრდელად ან ორივე ერთად და არ არის დაკავებული მის მიერ.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით და შემდგომ ხდება მისი შეფასება რეალური საბაზრო ღირებულებით, რათა ანგარიშგების ბოლო თარიღისათვის ასახავდეს რეალურ საბაზრო პირობებს.

საიჯარო შემოსავლები ანგარიშგებაში ასახულია სხვა საოპერაციო შემოსავლებად, ხოლო საინვესტიციო ქონების შეფასებით მიღებული შედეგები წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წარდგენილია დამოუკიდებლად.

თუ საინვესტიციო ქონებას დაიკავეს მფლობელი, მისი რეკლასიფიცირება ხდება ძირითად საშუალებად, ხოლო ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება რეკლასიფიცირების თარიღში მისი ღირებულების შესაბამისად.

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანია მიმართავს ერთიანი აღიარებისა და გაზომვის მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი იჯარისა და დაბალი ღირებულების აქტივების. კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს რათა მოახდინოს იჯარის გადასახდელები და აქტივის გამოყენების უფლება, რომელიც წარმოადგენს იდენტიფიცირებული აქტივზე უფლებას.

ანგარიშგებაში წარდგენილი იჯარები, რომელიც რეკლასიფიცირებულია ფინანსურ იჯარად, მოიცავს საწყობის იჯარებს თბილისსა და სხვა რეგიონებში. პანდემიის დროს მოხდა ყველა არსებული საიჯარო კონტრაქტის გაუქმება და ახალი იჯარის კონტრაქტების გაფორმება, რომელშიც შეცვლილია, როგორც საიჯარო თანხები, ასევე პირობები. ფინანსურ იჯარად რეკლასიფიცირებულია კონტრაქტები, რომელიც გაფორმდა 2021 წელს და ისინი აკმაყოფილებდა იჯარად აღიარების კრიტერიუმებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ და განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, არის აღიარებული როგორც გადახდილი კაპიტალი საწესდებო კაპიტალში.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)
ლივიდენდები

ლივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდში გაცემული ლივიდენდები მოიცავს დამფუძნებლებზე გამოცხადებულ და განაწილებულ ფულად სარგებელს.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმო ისეთი საწარმოა, რომელზეც კომპანიას გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტიორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებას, რაც არ გულისხმობს ამ პოლიტიკაზე ინვესტიორის კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მნიშვნელოვანი გავლენის განსაზღვრებაში გამოყენებული მოსაზრებები შეესაბამება შვილობილ კომპანიებზე კონტროლის განსაზღვრისთვის საჭირო მოსაზრებებს. კომპანიის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით.

კაპიტალ-მეთოდის ფარგლებში, შვილობილ საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია თავდაპირველად თვითღირებულებით აღირიცხება. ინვესტიციის საბალანსო ღირებულება კორექტირდება, რომ ასახოს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში კომპანიის მიერ ფლობილ ნეტო აქტივებში შეძენის თარიღიდან მომხდარი ცვლილებები.

შემოსავალი რეალიზაციიდან

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დამაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- (ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
 - (ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
 - (გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;
 - (დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:
- (ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;
 - (გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებაა, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;
- გარიგების ფასი ნაწილდება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დამაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლისა ან მომსახურების გადაცემას მომხმარებელზე.
- საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით

თვითღირებულების ხარჯები

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს რეალიზებული საქონლის ღირებულებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. თვითღირებულების გაანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს იმ რაოდენობას რომლის რეალიზაციაც განხორციელდა საანგარიშო პერიოდში.

მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები მოიცავს გაყიდვებთან და მიწოდებასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს, როგორიცაა რეკლამის ხარჯი, საწვავის და მივლინების ხარჯი, სადისტრიბუციო ქსელში გამოყენებული ავტომობილების ცვეთის ხარჯებს და ხელფასის ხარჯს.

ორგანიზაცია ხარჯების აღირიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოუქმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ

შპს გაგრა პლუსი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებელის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ხელფასის ხარჯი მოიცავს, როგორც ფიქსირებულ ასევე გამომუშავებულ ანაზღაურებას რომლის კალკულაციაც ხორციელდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლოს.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ხელფასის ვალდებულება მოიცავს საანგარიშო პერიოდთან დაკავშირებულ გამომუშავებულ ანაზღაურებას, რომელიც დაკავშირებული იყო 2023 წელთან და რომლის გაცემაც განხორციელდა ბალანსის შემდგომ პერიოდში.

მიწოდების და მომსახურების ხარჯები

რეალიზაციის და დისტრიბუციის დანახარჯები შედგება საქონლის ქსელში რეალიზაციასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯებისგან, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია დარიცხვის მეთოდით და მოიცავს ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საწვავის, იჯარის, რეკლამის და სატრანსპორტო საშუალებების მოვლა პატრონობის ხარჯები.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება იმ ხარჯებისგან, რომელიც თავისი შინაარსით არ მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულების ან დისტრიბუციის დანახარჯებს. ადმინისტრაციული ხარჯები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია დარიცხვის მეთოდით და ძირითადად მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა სამუდგომო ხარჯების ერთობლიობას.

უიმედო ვალების რეზერვი

კომპანია, კლიენტების გადახდისუნარიანობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსაღრიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტ საიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

საანგარიშო წლის ბოლოს, ბაზარზე არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდა არსებული რეზერვების გაანგარიშების გადახედვა და მასში კორექტირებების შეტანა. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოიცავს მოთხოვნების 17% დარეზერვებას, რომელიც გამოანგარიშებულია ისტორიული გამოცდილებით.

3. ახალი ფასს-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

ფასს 17 სადაზღვევო კონტრაქტები. ფასს 17 ნერგავს საერთაშორისო თანმიმდევრულ მიდგომას სადაზღვევო ხელშეკრულების აღრიცხვის მიმართ. ფასს 17-მდე, მთელ მსოფლიოში არსებობდა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვასა და წარდგენასთან დაკავშირებით, ფასს 4 ნებას რთავდა მრავალ (არა-ფასს) სააღრიცხვო მიდგომას. ფასს 17-ის ძალაში შესვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ცვლილებებს ბევრი მუდგველისთვის, რაც გულისხმობს არსებული სისტემებსა და პროცესებში ცვლილების შეტანას.

ახალი სტანდარტის ხედვით, სადაზღვევო ხელშეკრულება მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის და მომსახურების ხელშეკრულების ელემენტებს, ამასთან გამომუშავებული ფულადი ნაკადების დიდი ნაწილი არსებითად ცვალებადია დროთა განმავლობაში. შედეგად, სტანდარტი აყალიბებს შემდეგ მიდგომებს:

- მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების აღიარება მოგებასა და ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება მომსახურების გაწევა ხელშეკრულების თანახმად;
- სადაზღვევო მომსახურების შედეგების (მათ შორის სადაზღვევო შემოსავლის) წარდგენა სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯებისგან განცალკევებით;
- სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანი ცალკეული პორტფელის მიმართ სადაზღვევო ფინანსური შემოსავლის ან ხარჯის მთლიანად მოგებასა და ზარალში წარდგენასთან ან ნაწილობრივ სრულ შემოსავალში წარდგენასთან დაკავშირებით.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენა (შესწორება- ბასს 1 და ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2) – 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება, რომელიც ცვლის სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენის მოთხოვნებს „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის“ „არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციით“. მოცემული შესწორება იძლევა მითითებას იმის შესახებ, როდის არის მოსალოდნელი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია იქნას არსებითად მიჩნეული. აღნიშნული შესწორება ძალაშია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2023 წლის 1 იანვრიდან. აღრეული გადასვლა ნებადართულია. რადგან ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2 არ წარმოადგენს სავალდებულო სახელმძღვანელოს, არ მომხდარა სავალდებულო ძალაში შესვლის თარიღის განსაზღვრა ფასს პრაქტიკული ანგარიშგება 2-ის შესწორებასთან მიმართებაში.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (ბასს 8-ის შესწორება) - 2021 წლის თებერვალში, IASB-იმ გამოსცა ბასს 8-ის შესწორება, რომელმაც დაამატა სააღრიცხვო შეფასებების განმარტება ბასს 8-ში. შესწორებაში ასევე დაუხსტდა, რომ სააღრიცხვო შეფასებაზე ამოსავალი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილების გავლენით გამოწვეული შედეგი წარმოადგენს სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას, თუკი მონაცემების ან შეფასების მეთოდის ცვლილება გამოწვეული არ არის წინა პერიოდის შეცდომების გასწორებით **გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს (ბასს 12-ის შესწორება)**. 2021 წლის მაისში, IASB-იმ გამოსცა ბასს 12-ის შესწორება, რომელიც აკონკრეტებს, ვრცელდება თუ არა თავდაპირველი აღიარების გამონაკლისი გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც იწვევს როგორც აქტივის, ასევე ვალდებულების სიმულაციურად აღიარებას (მაგ: იჯარა ფასს 16-ის შესაბამისად). შესწორების შედეგად, ბასს 12.15-ს დაემატა კრიტერიუმი თავდაპირველი აღიარების გამონაკლისთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც გამონაკლისი არ ვრცელდება აქტივების ან ვალდებულების თავდაპირველ აღიარებაზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარი ოდენობის დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). 2023 წლის მაისში, IASB-იმ გამოუშვა მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს ბასს 7-ის ფულადი ნაკადების ანგარიშგებების და ფასს 7-ის ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნების შესწორებას. აღნიშნული შესწორებები წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხებოდა ვალდებულებებს და მასთან დაკავშირებულ, მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებს და მათ განმარტებით შენიშვნებს. 2020 წლის დეკემბერში, კომიტეტმა გამოაქვეყნა აგენდა გადაწყვეტილება მიწოდების ჯაჭვის დაფინანსების შეთანხმებებთან დაკავშირებით - რევერსული ფაქტორინგი, რომელიც შეეხებოდა აღნიშნულ წარდგენას დაფუძნებულს ფინანსური აღრიცხვის სტანდარტების მოთხოვნებზე, მოცემული პერიოდისთვის. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, დაინტერესებული მხარეების უკუკავშირმა აჩვენა ამ დროისთვის არსებული მოთხოვნების შეზღუდვები, რომელიც უკავშირდება მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ინფორმაციის საჭიროებების დამაყოფილებას, რათა გასაგები იყოს მიწოდების ფინანსური შეთანხმებები საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებებში და შესაძლებელი გახდეს საწარმოების ერთმანეთთან შედარება. ამ უკუკავშირის საპასუხოდ, IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოაშუალონ გარკვეული სპეციფიკური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). 2020 წლის ივნისში ფასს ინტერპრეტაციის საბჭომ გამოსცა დღის წესრიგის გადაწყვეტილება ცვლადი საიჯარო გადახდებიანი უკუიჯარის პირობით გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი გადაეცა IASB-ს ზოგიერთი ასპექტის სტანდარტში გათვალისწინების მიზნით. 2022 წლის სექტემბერში IASB-იმ გამოსცა საბოლოო შესწორება.

შესწორების თანახმად გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) 2020 წლის იანვარში IASB-იმ გამოსცა ბასს 1-ის შესწორება ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. ხოლო 2022 წლის ოქტომბერში შემდგომი შესწორება განხორციელდა კოვენანტებიან გრძელვადიან ვალდებულებებთან მიმართებაში. შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით. COVID-19 პანდემიის შედეგად შესწორების ძალაში შესვლის თარიღი გადაინიჭა ერთი წლით და ეფექტურია იმ ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელთა საანგარიშგებო პერიოდი იწყება 2024 წლის 1 იანვრიდან.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) ბასს 1-ში ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად შესწორების გამოცემის შემდგომ, 2022 წლის ოქტომბერში IASB-იმ კვლავ შეასწორა ბასს 1. თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) 2023 წლის 15 აგვისტოს, IASB-იმ გამოსცა გასაცვლელი კურსის არ არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბასს 21-ის, უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების, შესწორებას (შესწორებები). შესწორება წარმოიშვა IFRS-ის ინტერპრეტაციის კომიტეტისგან მიღებული წარდგენის შედეგად, რომელიც შეეხება ვალუტის კურსის განსაზღვრას, როდესაც გასაცვლელი კურსის არ არსებობს გრძელ ვადიან პერიოდში. შესწორებამდე, ბასს 21-ი არ მოიცავდა აშკარა მოთხოვნებს გასაცვლელი კურსის განსაზღვრასთან დაკავშირებით, როდესაც ვალუტა არ იცვლება სხვა ვალუტაში, რაც წარმოშობდა პრაქტიკაში აღრიცხვის მრავალფეროვნებას. კომიტეტმა გასცა რეკომენდაცია, რომ IASB-ს შეემუშავებინა ბასს 21-ში ვიწრო მასშტაბის შესწორება აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. შემდგომი განხილვების შედეგად, 2021 წლის აპრილში IASB-იმ გამოსცა განმარტებითი დრაფტი ბასს 21-თან დაკავშირებულ შესწორებებზე და საბოლოო შესწორება გამოიცა 2023 წლის აგვისტოში. შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შენიშვნა 4 - შემოსავალი რეალიზაციიდან

პერიოდის შემოსავლები მოიცავს პროდუქტის რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებს, რომელის არსებითი ნაწილი მოიცავს სანდორას, რედ ბული-ს, სარაჯიშვილის და ნემიროვის ბრენდის ქვეშ არსებული საქონლის გაყიდვებს, შემცირებულს პერიოდის ფასდათმობით და უკან დაბრუნებით.

	2023	2022
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	87,994,777	74,989,595
სხვა საოპერაციო შემოსავალი	166,104	374,649
უკან დაბრუნება და ფასდათმობა	(1,255,674)	(692,665)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	86,905,207	74,671,579

შენიშვნა 5 - თვითღირებულების ხარჯი

თვითღირებულების ხარჯი მოიცავს გაყიდული და ჩამოწერილი სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულებას, რომელიც შემცირებულია პერიოდის უკან დაბრუნებით.

	2023	2022
გაყიდული საქონელის თვითღირებულება	57,534,120	52,129,682
უკან დაბრუნება	(785,863)	(348,743)
კორექტირება	49,591	71,960
სულ პროდუქციის თვითღირებულება	56,797,849	51,852,899

შპს გაგრა პლუსი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 6 - მიწოდების და მომსახურების ხარჯი

პერიოდის მიწოდების ხარჯები მოიცავს საქონლის გაყიდვებთან დაკავშირებით გაწეულ ხარჯებს:

	2023	2022
მიწოდების ხელფასის ხარჯი	5,773,115	4,428,336
რეკლამის ხარჯები	9,908,254	5,401,411
მოთხოვნების გაუფასურება	1,030,626	87,852
მიწოდების ცვეთის ხარჯი	867,605	687,678
მიწოდების საწვავის ხარჯი	648,396	697,748
მიწოდების ტრანსპორტის ხარჯები	199,199	292,587
მივლინების ხარჯები	176,542	176,490
მიწოდების სხვა ხარჯები	3,812	104,900
სულ მიწოდების ხარჯები	18,607,549	11,877,001

შენიშვნა 7 - საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	1,431,279	1,097,084
პროფესიული მომსახურების ხარჯები	1,325,849	1,029,757
ტრანსპორტის შენახვის და შეკეთების ხარჯები	294,642	286,451
საიჯარო ხარჯები	100,300	43,871
სხვა საგადასახადო ხარჯები	67,405	84,168
საწვავის ხარჯები	164,313	176,776
საოფისე ხარჯები	66,768	191,505
ცვეთის ხარჯი	181,154	127,434
იჯარით აღებული ქონების ცვეთა	59,231	89,945
კომუნალური ხარჯები	65,588	49,849
გადახდილი ავანსების გაუფასურება	34,273	120,891
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	420,754	120,515
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	4,211,555	3,418,247

შენიშვნა 8 - სხვა საოპერაციო ხარჯები

	2023	2022
უიმედო ვალების ანარიცხები	22,471	79,746
პროდუქციის უსასყიდლოდ დარიგება	20,823	338,321
ძირ. საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	-	7,194
სხვა ხარჯები	199,442	-
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	242,736	425,261

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 9 - ფინანსური ხარჯი

	2023	2022
ზარალი საკურსო სხვაობიდან	253,551	611,367
საპროცენტო ხარჯი	160,234	110,174
იჯარის საპროცენტო ხარჯი	18,445	37,739
გაცემული სესხების გაუფასურება	78,170	29,306
სხვა ფინანსური ხარჯი	68,384	-
სულ ფინანსური ხარჯი	578,785	788,587

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 10 - ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 31/12/2023	738,280	1,100,383	2,233,646	61,863	438,292	1,696,886	436,304	6,705,654
დანამატები	-	11,103	1,435,929	1,067	135,536	407,576	239,348	2,230,559
აქტივების ჩამოწერა	-	(770,690)	-	-	-	(19,576)	-	(790,266)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(48,877)	(408,115)	(13,097)	(94,020)	(373,139)	(74,587)	(1,011,835)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2022	738,280	1,908,846	1,205,832	73,893	396,776	1,682,025	271,543	6,277,195
დანამატები	13,750	-	402,593	45,088	143,437	534,476	68,440	1,207,784
აქტივების ჩამოწერა	-	-	-	-	-	(46,178)	-	(46,178)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(82,262)	(257,690)	(5,331)	(74,885)	(351,266)	(39,869)	(811,303)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 31/12/2021	724,530	1,991,108	1,060,929	34,137	328,224	1,544,992	242,972	5,926,891
ისტორიული ღირებულება 31/12/2021	724,530	2,463,915	2,769,060	84,067	831,641	3,059,983	552,065	10,485,260
აკუმულირებული ცვეთა 31/12/2021	-	(472,807)	(1,708,131)	(49,930)	(503,417)	(1,514,991)	(309,093)	(4,558,369)

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 11 - საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას წარმოადგენს კომპანიის აპარტამენტები.

	12/31/2023	12/31/2022
	შენობა	შენობა
1 იანვარი	-	-
შემოსვლა	-	-
რეკლასიფიცირება	770,690	-
საბალანსო ღირებულება	770,690	-
დაგროვილი ცვეთა	-	-
პერიოდის ცვეთის ხარჯი	(31,540)	-
31 დეკემბერი	739,150	-

შენიშვნა 12 - მონაწილეობა სხვა საწარმოში

კომპანია წარმოადგენს შპს ბრენდ მაღაზია სარაჯიშვილის 50%-იანი წილის მფლობელს, თუმცა იგი ვერ აკმაყოფილებს მაკონტროლებელი საწარმოს მოთხოვნებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით.

		12/31/2023	12/31/2022
დასახელება	საქმიანობა	საბალანსო ღირებულება ფლობილი ინვესტიცია	საბალანსო ღირებულება ფლობილი ინვესტიცია
შპს ბრენდ მაღაზია სარაჯიშვილი	ვაჭრობა	405,610	50%
სულ მონაწილეობა შვილობილ საწარმოში		405,610	455,610

შენიშვნა 13 - აქტივი გამოყენების უფლებით

კომპანია როგორც მოიჯარე

კომპანიას გაფორმებული აქვს სხვადასხვა სახის გრძელვადიანი საიჯარო კონტრაქტები სასაწყობო ფართის იჯარაზე. იჯარის ხელშეკრულებები გაფორმებულია 5 წლამდე ვადით. ცხრილში მოცემულია აღნიშნული კონტრაქტებით წარმოქმნილი აქტივი გამოყენების უფლებით და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებების ცვლილებები.

აქტივის ღირებულება

	საწყობები
31 დეკემბერი 2021 საბალანსო ღირებულება	260,273
დანამატი	37,913
გასვლა	-
ცვეთის ხარჯი	(89,945)
31 დეკემბერი 2022 საბალანსო ღირებულება	208,240
დანამატი	
გასვლა	(71,499)
ცვეთის ხარჯი	(59,231)
31 დეკემბერი 2023 საბალანსო ღირებულება	77,510

ცხრილში მოცემულია 2022 წელს აღიარებული საიჯარო ვალდებულებები და მისი მოძრაობა.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

აქტივი გამოყენების უფლებით (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულება

	საწყობები
31 დეკემბერი 2021 საიჯარო ვალდებულება	292,931
დანამატი	37,913
გასვლა	-
ძირის დაფარვა	(85,201)
31 დეკემბერი 2022 საიჯარო ვალდებულება	245,643
დანამატი	
გასვლა	(86,387)
ძირის დაფარვა	(62,565)
31 დეკემბერი 2023 საიჯარო ვალდებულება	96,691

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები საანგარიშო პერიოდში

	12/31/2023	12/31/2022
წინა წლის ნაშთი	245,643	292,931
დანამატი	-	-
პროცენტის დარიცხვა	18,445	37,739
ხელშეკრულების შეწყვეტა	(86,387)	-
მოდიფიკაცია	-	37,913
გადახდები	(81,010)	(122,940)
უცხოური ვალუტის საკურსო ცვლილებით გამოწვეული ეფექტი	-	-
სულ ჯამი :	96,691	245,643
მოკლევადიანი	58,489	97,002
გრძელვადიანი	38,202	148,641
მოგება-ზარალში აღიარებული თანხები	12/31/2023	12/31/2022
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	59,231	89,945
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	18,445	37,739
იჯარის ჩამოწერით მიღებული მოგება/(ზარალი)	14,888	-
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ეფექტი	-	-
მოგება ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	92,564	127,684

შპს გაგრა პლუსი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 14 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	12/31/2023	12/31/2022
სარეალიზაციო საქონელი	7,527,665	5,753,262
სარეკლამო მარაგები	1,295,500	1,119,930
საბაჟო საწყობი	1,267,865	1,329,210
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	10,091,030	8,202,402

შენიშვნა 15 - გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

	12/31/2023	12/31/2022
მიმდინარე სასესხო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან	200,000	216,096
მიმდინარე სასესხო მოთხოვნები ფიზიკურ პირებთან	82,650	82,650
	282,650	298,746
მოთხოვნები პროცენტებზე იურიდიულ პირებთან	50,411	10,411
	50,411	10,411
გაუფასურებული სესხები	(82,650)	-
გაცემულ სესხებზე დარიცხული ანარიცხები	(19,785)	(28,265)
მისაღებ პროცენტებზე დარიცხული ანარიცხები	(5,041)	(1,041)
სულ გაცემული სესხები	225,585	279,851

საანგარიშო პერიოდების შესაბამისად გაცემული სესხის მოძრაობა იყო შემდეგი:

	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	279,851	-
სესხის გაცემა	-	314,746
გაცემული სესხის ძირის მიღებები წლის განმავლობაში	(16,096)	(16,000)
მისაღები პროცენტების დარიცხვა	77,130	19,393
პროცენტის მიღება წლის განმავლობაში	(37,130)	(8,982)
გაცემული სესხების და პროცენტების გაუფასურება	(78,170)	(29,306)
სულ გასესხებული სახსრები	225,585	279,851

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 16 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო მოთხოვნები	24,513,453	19,731,694
გადახდილი ავანსები	2,236,187	2,763,747
უიმედო ავანსების ჩამოწერა	(793,097)	-
მოთხოვნების ანარიცხები	(4,034,451)	(3,796,922)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,922,092	18,698,519

	12/31/2023	12/31/2022
გაუფასურების რეზერვი 1 იანვარი	(3,796,922)	(3,709,070)
დამატებითი რეზერვის აღიარება	(237,529)	(87,852)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბერი	(4,034,451)	(3,796,922)

შენიშვნა 17 -ფული და ფულადი ექვივალენტები

პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ეროვნულ და უცხოურ ვალუტას საბანკო ანგარიშებზე.

	12/31/2023	12/31/2022
ლარი საბანკო ანგარიშებზე	906,561	702,788
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	12,990	9,042
	919,551	711,830
ნაღდი ფული სალაროში	40,267	45,724
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	40,267	45,724
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	959,817	757,553

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 18 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	12/31/2023	12/31/2022
სავაჭრო ვალდებულებები	14,748,701	10,091,109
მიღებული ავანსები	861,449	934,117
გადასახდელი ხელფასები	204,577	6,483
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,814,728	11,031,708

შენიშვნა 19 - მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

	12/31/2023	12/31/2022
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები იურიდიულ პირებთან	-	974,746
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები ფიზიკურ პირებთან	-	-
	-	974,746
გადასახდელი პროცენტები იურიდიულ პირებთან	-	-
გადასახდელი პროცენტები ფიზიკურ პირებთან	-	-
	-	-
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	974,746

საანგარიშო პერიოდების შესაბამისად სესხის მოძრაობა იყო შემდეგი:

	2023	2022
წლის დასაწყისში ნასესხები ფულადი სახსრები და გადასახდელი პროცენტები	974,746	-
სესხზე დარიცხული პროცენტი	160,234	110,174
გადახდილი პროცენტი	(160,234)	(110,174)
მიღებული ფულადი სახსრები	1,873,995	4,195,721
გადახდილი ძირი თანხა	(2,929,046)	(3,209,275)
თავდებობის ხარჯები	68,384	0
საკურსოს ხვაობა	11,921	(11,700)
სულ ნასესხები სახსრები	0	974,746
გრძელვადიანი ნაწილი	-	-
მოკლევადიანი ნაწილი	-	974,746

20. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელეების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია მეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვალიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

კომპანიის ხელმძღვანელობა მონიტორინგს ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებზე. კომპანია ესწრაფვის შეინარჩუნოს სტაბილური საფინანსო ბაზა, რომელიც უმთავრესად შედგება საოპერაციო ფულადი ნაკადებისა და მომხმარებელთა წინასწარი გადახდებისაგან. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2023 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ვალდებულებები კონტრაქტების მიხედვით დარჩენილი გადახდის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადების ცხრილში მოცემული თანხები არის კონტრაქტით გათვალისწინებული არადისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადები.

შპს გაგრა პლუსი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

	ვალდებულება 1 თვემდე ვადამი	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2023 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	13,727,846	-	1,020,855	-	14,748,701
გადასახდელი ხელფასები	204,577	-	-	-	-	204,577
ნასესხები სახსრები	-	-	-	-	-	-
ფინანსური იჯარა	4,874	9,748	43,867	38,202	-	96,691
სულ ფინანსური ვალდებულებები	204,577	13,727,846	-	1,020,855	-	14,953,278

	ვალდებულება 1 თვემდე ვადამი	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	31 დეკემბერი 2022 სულ
ფინანსური ვალდებულებები						
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	10,091,109	-	-	-	10,091,109
გადასახდელი ხელფასები	6,483	-	-	-	-	6,483
ნასესხები სახსრები	81,229	162,458	731,060	-	-	974,746
ფინანსური იჯარა	8,084	16,167	72,752	148,641	-	245,643
სულ ფინანსური ვალდებულებები	87,712	10,253,566	731,060	-	-	11,072,338

კაპიტალის რისკი

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემითა და კაპიტალის ზრდით.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. კომპანია მიღებული საქონლის და მომსახურების შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში, ასევე საანგარიშო პერიოდში კომპანია ფლობს უცხოურ ვალუტაში სასესხო ვალდებულებას. 2023 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან ვინაიდან კომპანიის სავალუტო სახსრების არსებითი ვალდებულებები მოიცავს უცხოურ ვალუტაში წარმოქმნილ სასესხო ვალდებულებებს და სავალუტო რისკები გავლენას ახდენს ანგარიშგებაზე, ვინაიდან კომპანიას უზრდება ვალდებულებები და მასთან ერთად ლიკვიდურობის რისკებიც.

სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია კომპანიის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. ქვემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

შპს გაგრა პლუსი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

	31 დეკემბერი 2023			31 დეკემბერი 2022		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	ნეტო პოზიცია
ლარი	20,596,264	(12,633,721)	7,962,544	16,226,091	(11,249,465)	4,976,625
აშშ დოლარი	129,620	(243,408)	(113,788)	123,367	(32,705)	90,662
ევრო	145,422	(1,871,572)	(1,726,150)	622,719	(730,534)	(107,815)

სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაწილის შესყიდვა ხორციელდება უცხოურ ვალუტაში. ქვეყნის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებები გავლენას ახდენს საანგარიშო პერიოდის ფინანსურ შედეგებზე, რის გამოც სავალუტო რისკები მნიშვნელოვანია, მაგრამ ვინაიდან სარეალიზაციო ფასების განსაზღვრა ხდება პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისად და ხშირად ის ცვლილება, მოგების მარჟა ითვალისწინებს მოსალოდნელ სავალუტო რისკებს. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ ტრანზაქციებს; შესაბამისად, მასზე მოქმედებს რისკი, რომელიც გაცვლითი კურსის მერყეობისას წარმოიქმნება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ ფუნქციონალური ვალუტის 20%-ით გაძვირება/გაიაფების მიმართ 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო დღეს შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულზე.

	2023	2022
	გავლენა-მოგება ზარალზე	გავლენა-მოგება ზარალზე
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	(22,758)	18,132
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	22,758	(18,132)
ევროს 20%-იანი გამყარება	(345,230)	(21,563)
ევროს 20%-იანი გაუფასურება	345,230	21,563

21. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

მსურველ მხარეებ შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა, ან ლიკვიდაციისა, და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა კომპანიის მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს, ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებიანი ინსტრუმენტების შეფასებული ღირებულება ეფუძნება მომავალში სავარაუდო ფულადი სახსრების ნაკადებს, რომელთა მიღებაც მოსალოდნელია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირების მეშვეობით, იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკზე.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

21. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს. ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. ფიქსირებული დაფარვის ვადის მქონე მიღებული სესხების, აგრეთვე, იჯარიდან წარმოშობილი ვალდებულებების, სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით იმ ახალი ინსტრუმენტებისათვის, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია.

22. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. კომპანიის აქტიური სასამართლო დავების ძირითადი ნაწილი მოიცავს მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებზე დაწყებულ დავებს.

აქტიური სასამართლო დავების და მათგან მოსალოდნელი შედეგების ღირებულება არ არის არსებითი და გათვალისწინებულია პერიოდის უიმედო მოთხოვნის რეზერვის მოცულობაში, შესაბამისად სასამართლო დავების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არა არსებითია.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მიმდინარე წელს კომპანიაში ჩატარდა საგადასახადო შემოწმება, რომლის საფუძველზეც წარმოშობილია ვალდებულება, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნული გადაწყვეტილება არა სამართლიანია და გასაჩივრებულია ფინანსთა სამინისტროს დავების სამსახურში. ვინაიდან ჩვენ არ ვიზიარებთ შემოწმების შედეგად დამდგარ შედეგებს შესაბამისად არ მოველით რომ აღნიშნული გადაწყვეტილება აღსრულდება და ის არ გვაქვს ასახული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
- (ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
- (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;
- (დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა;
- (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

შპს გაგრა პლუსი
 ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები	2023	2022
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	225,585	279,851
სულ ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	225,585	279,851

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები	2023	2022
საპროცენტო შემოსავალი	36,215	10,411
სულ ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	36,215	10,411

გასულ საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები მხოლოდ მოიცავდა წამყვან მენეჯმენტზე დარიცხულ ხელფასს და სხვა სახის ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან იდენტიფიცირებული არ იყო.

წამყვანი მენეჯმენტის მიერ 2023 წელს გამომუშავებული ანაზღაურება შეადგენს 781,163 ლარს ხოლო 2022 წელს შეადგენდა 814,328 ლარს.

24. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ პერიოდში კომპანიის ოპერაციებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა რაც საჭიროებს დამატებით ანგარიშგებაში წარდგენას.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მმართველობის ანგარიშგება

1. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

შპს გაგრა პლუსი დაარსდა 2002 წელს. კომპანიის საქმიანობას წამოადგენს ალკოჰოლური და არალკოჰოლური პროდუქციის იმპორტი და შემდგომში დისტრიბუცია საქართველოს მასშტაბით. მიუხედავად არაერთი გამოწვევისა, კომპანიამ გაიარა სწრაფი განვითარების გზა და თავისი საქმიანი რეპუტაციიდან გამომდინარე შეძლო მსოფლიოში ცნობილ ბრენდებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება. შედეგად, შპს გაგრა პლუსი საქართველოში წარმოადგენს და დისტრიბუციას უკეთებს საქვეყნოდ ცნობილ არაერთ ბრენდს, რომელთა შორისაა: Nemiroff, სანდორა, SPI ჯგუფის ბრენდების არაყი "Stoli" & "Moskovskaya", ჩეხური ლუდი "ბუდვაიზერ", ქართული კონიაკი - სარაჯიშვილი, იტალიური ყავა -KIMBO.

2. სუბიექტის განვითარების გეგმები:

შპს გაგრა პლუსი წარმოადგენს განვითარებაზე ორიენტირებულ კომპანიას, რომლის მიზნებში შედის არა მხოლოდ ახალი, მაღალი ხარისხის პროდუქტების დამატება, არამედ მმართველობითი ეფექტურობის გაზრდის ხარჯზე, მომსახურების უფრო მაღალი დონის შეთავაზება როგორც მომხმარებლებისთვის, ისე მომწოდებლებისთვის.

ამ მიზნით, კომპანია გეგმავს როგორც ახალი, მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, ისევე სასაწყობო ფართების გაშლას-გაფართოებას.

3. სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:

მიუხედავად იმისა, რომ 2022-2023 წლებში გაგრა პლუსი არ ყოფილა ჩართული გლობალური კვლევებში, კომპანია შიდა ძალებით ატარებდა და ატარებს საბაზო მოთხოვნების შესწავლას და ანალიზს, რის საფუძველზეც ახორციელებს მდგომარეობის ცვლილებას და გაყიდვების პროცესის დახვეწა-გაუმჯობესებას. შედეგად, მომხმარებლებისთვის უფრო ხარისხიანი პროდუქციის და მომსახურების შეთავაზება-მიწოდებას.

4. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ:

შპს გაგრა პლუსი 2022 და 2023 წლების მდგომარეობით აქვს შემდეგ რეგიონებში ფილიალები:

- * აჭარის, გურიის (ნაწილი) რეგიონი, ქ. ბათუმი.
- * სამეგრელოს გურიის (ნაწილი) რეგიონი, ქ. ზუგდიდი.
- * იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი ქ. ქუთაისი.
- * სამცხე ჯავახეთი (გარდა ბორჯომისა) რეგიონი ქ. ახალციხე.
- * შიდა ქართლის რეგიონი (ასევე ბორჯომი) გორის რ-ნი, სოფ. ქარელი.
- * კახეთის რეგიონი ქ. თელავი.

5. კომპანიის ძირითად ფინანსურ და არაფინანსური მაჩვენებლები:

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

ერთეული (ლარი)	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი	86,905,207	74,671,579
მთლიანი მოგება	30,107,358	22,818,680
წმინდა მოგება	6,096,449	6,032,144
მთლიანი მოგება (%)	35%	31%

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. კომპანიის ძირითად ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებ (გაგრძელება)

გაგრა პლუსზე, როგორც სადისტრიბუციო კომპანიაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საკრედიტო რისკები. საკრედიტო რისკის ქვეშ იგულისმება ფინანსური ზარალის რისკი იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებებს კომპანიის წინაშე. საკრედიტო რისკი კომპანიას წარმოეშობა საქმიანობის სპეციფიკადან გამომდინარე - კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობენ. კომპანიაზე საკრედიტო რისკების გავლენა აქტივების კლასების მიხედვით, ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. ამ შემთხვევაში, წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21,922,091	18,698,519
ფული და ფულის ეკვივალენტი	959,817	757,553
სულ საკრედიტო რისკი	22,881,908	19,456,072

გაგრა პლუსისთვის, როგორც იმპორტიორი კომპანიისათვის, საბაზრო რისკი გამომდინარეობს: (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. ამ რისკებთან მიმართებაში, კომპანიის მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს რისკის მასშტაბზე და ამ მასშტაბზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს.

რადგან გაგრა პლუსის საქმიანობის ძირითად არეალს წარმოადგენს საქართველო, ხოლო ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელი თვისებების ჩვენებას, კომპანიაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები - გეოგრაფიული რისკები.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ახორციელებს პროდუქციის შესყიდვას უცხოურ ვალუტებში. სავალუტო რისკ დამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ საჭიროებს. შესაბამისად, არც იყენებს.

კომპანია კაპიტალს მართავს იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიამ განახორციელოს ეფექტურად ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის წარმოება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანიის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების განკარგულებაში ქონას, დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს, დაფაროს კომპანიის წინაშე არსებული ყველა ვალდებულება. ამასთანავე, მენეჯმენტი უზრუნველყოფს კომპანიის მოქნილობას, მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

გაგრა პლუსში, ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და გენერირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც ჭირდება კომპანიას მისთვის, რომ იყოს დარწმუნებული საოპერაციო საქმიანობისთვის საკმარისი ფულადი სახსრების არსებობაში.

კომპანიის მიერ, სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება კრედიტორული დავალიანებები, რომლებიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად. კომპანიას განზრახული აქვს, მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი და დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, მაჩვენებლების გაუარესების გარეშე.

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს, რადგან კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და ამდენად, რისკი მცირეა.

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია:

კომპანია ტრადიციულად წლიდან წლამდე იზრდება, იგივე ტენდენციაა შენარჩუნებული 2022-2023 წლებში და დიდი იმედი გვაქვს გავაგრძელებთ ზრდას როგორც ფინანსურ მაჩვენებელში ასევე კომპენტენციის ფარგლებში.

დირექტორი

27 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

შპს გაგრა პლუსი
ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია:

კომპანია ტრადიციულად წლიდან წლამდე იზრდება, იგივე ტენდენციაა შენარჩუნებული 2022-2023 წლებში და დიდი იმედი გვაქვს გავაგრძელებთ ზრდას როგორც ფინანსურ მაჩვენებელში ასევე კომპენტენციის ფარგლებში.

დირექტორი

27 თებერვალი 2025
თბილისი, საქართველო

